საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო
კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. თბილისი "21" 12 2011 წელი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **მ. ამირანაშვილი.** საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი **ზ. პაპიძე.** საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ვ. კევლიშვილი.** გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსი **ა. ცაგარელი.** საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე **მ. პატარქალიშვილი.**

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

**ქ. მესტიაში არსებული პოლიციის სამმართველოს ავეჯის დიზაინის საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე (№239)** კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების პაკეტის **გახსნა/განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.**

1) №239 – კონკურსზე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ: **ფიზიკურმა პირმა "დავით გოგიაშვილმა"** ფასით 1300.00 (ერთიათასსამასი) ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა **ფიზიკური პირი "დავით გოგიაშვილი"-ს** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საპროექტო სამუშაოს რენდერები, რომელიც შესაბამისობაშია საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ხოლო რენდერების ვიზუალური მხარე მისაღებია.

**კომისიამ გადაწყვიტა:**

1. ფიზიკური პირი "დავით გოგიაშვილის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდეს - №239 კონკურსზე ფიზიკური პირი "დავით გოგიაშვილი" და დაევალოს შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება.
3. დაევალოს შესყიდვების სამმართველოს წინამდებარე ოქმის და ხელშეკრულების შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე მ. ამირანაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები ზ. პაპიძე

ა. ცაგარელი

ვ. კევლიშვილი

მ. პატარქალიშვილი